



## ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება №109.12

### 1. ფაქტები

ადვოკატი ნ.კ. იცავდა მ.მ.ის ინტერესებს სისხლის სამართლის საქმეზე და სამოქალაქო სამართლის საქმეზე პირველი ინსტანციის სასამართლოში. ადვოკატი ნ.კ. ირიცხება ადვოკატთა ერთან სიაში სისხლის სამართლის სპეციალიზაციის მქონე ადვოკატად. 2012 წლის 23 თებერვალს მ.მ.ს უარი ეთქვა სარჩელის და სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადების მიღებაზე. 2012 წლის 15 მარტს სასამართლომ მიიღო განჩინება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადებაზე ხარვეზის დადგენის შესახებ, 2012 წლის 19 მარტს მ.მ.ს უარი ეთქვა სარჩელის აღძვრამდე უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების თაობაზე. ადვოკატმა ნ.კ.მ 2012 წლის 22 იანვარს კლიენტისგან, მ.მ.ისგან ისესხა 1600 აშშ დოლარი ერთი თვით. ადვოკატი ნ.კ. კლიენტს თანხის დაბრუნებას შეჰპირდა 2012 წლის 27 აპრილამდე. ადვოკატი კლიენტთან შეთანხმების გარეშე შეხვდა მისი ოჯახის წევრებს და მან კლიენტთან იურიდიული მომსახურების ხელშეკრულება შეწყვიტა საჩივრის ავტორის (კლიენტის) ოჯახის წევრების მოთხოვნით და ამის შესახებ 2012 წლის 21 აპრილს აცნობა კლიენტს ხელწერილის დაწერისას. ასევე ადვოკატმა სასესხო ვალდებულება, რომელიც მას კლიენტის მიმართ ჰქონდა მისი ოჯახის წევრებთან შეასრულა. ადვოკატმა ხელშეკრულების 2012 წლის 21 აპრილს შეწყვეტის მიუხედავად გააგრძელა მ.მ.ის ინტერესების წარმოდგენა.

### 2. პროცესუალური ისტორია

2012 წლის 3 აგვისტოს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მიმართა მ.მ.მ და და მოითხოვა ადვოკატ ნ.კ.სთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება. საპროცესო კოლეგიამ ნ.კ.ს მიმართ აძღრა დისციპლინური დევნა ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის მე-5(ა) მუხლის, მე-6.2 და 3(ა) მუხლების, აგრეთვე ეთიკის კოდექსის მე-3, მე-5, მე-8.5, მე-8.6 და მე-8.13 მუხლების შესაძლო დარღვევის ფაქტზე.

განხილვის კოლეგიამ იხელმძღვანელა „ადვოკატთა დისციპლინური წარმოებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ“ დებულების 26-ე მუხლით და საქმე განსახილველად გადასცა ეთიკის კომისიის სრულ შემადგენლობას.

### 3. სამართლებრივი ანალიზი

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისია გაეცნო საქმის მასალებს, მოისმინა მხარეების ახსნა-განმარტება და თვლის, რომ ადვოკატ ნ.კ.ს მიერ ჩადენილია დისციპლინური გადაცდომა, შესაბამისად განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილების წინაპირობები და საფუძვლები სახეზეა. დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმად ადვოკატისათვის განისაზღვრა გაფრთხილება.

დაირღვა თუ არა ადვოკატის მიერ კეთილსინდისიერებისა და კვალიფიციურობის ვალდებულება? ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-5 პუნქტი.

ადვოკატი ნ.კ. გახლდათ ადვოკატი სისხლის სამართლის სპეციალიზაციით. შესაბამისად, არსებობდა საფრთხე იმისა, რომ იგი თავის უფლებამოსილებას კვალიფიციურად ვერ განახორციელებდა სამოქალაქო სამართლის საქმეზე. კომისიამ იმსჯელა, რომ ადვოკატი ვალდებულია განახორციელოს საქმიანობა სპეციალიზაციის მიხედვით. მოცემულ შემთხვევაში კი ადვოკატის მიერ კლიენტის წარმოდგენა სამოქალაქო სამართლის საქმეზე პირველ ინსტანციაში მიიჩნევა არა როგორც უბრალო წარმომადგენლობა, არამედ როგორც ადვოკატის პროფესიული საქმიანობის ფარგლებში კლიენტის ინტერესების დაცვა. ადვოკატის მიერ დარღვეულია კეთილსინდისიერებისა და კვალიფიციურობის ვალდებულება.



კანონის უზენაესობის მხარდაჭერა  
საქართველოში (PROLoG)

ადვოკატის მიერ დაირღვა თუ არა ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება, როდესაც იგი კლიენტის ინფორმირების გარეშე შეხვდა მისი ოჯახის წევრებს, მათი მოთხოვნით შეწყვიტა კლიენტთან ხელშეკრულება კლიენტისთვის დაუყოვნებლივ ინფორმაციის მიწოდების გარეშე? „ადვოკატთა შესახებ“ კანონის მე-6 მუხლის მე-2 ნაწილი, ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-6 ნაწილი.

მოცემულ შემთხვევაში ადვოკატს ეკისრებოდა ვალდებულება კლიენტისთვის მიეწოდებინა ინფორმაცია მისი ოჯახის წევრებთან შეხვედრის თაობაზე. ადვოკატის ვალდებულება კლიენტს მიაწოდოს ყველა ინფორმაცია, რაც უკავშირდება მისი საქმის წარმოებას, რათა კლიენტმა იცოდეს მის მიერ მინდობილი საქმის მსვლელობის თაობაზე. აღნიშნული ვალდებულება პირდაპირ კავშირშია კლიენტის ინტერესებთან, რადგან კლიენტი წარმოადგენს საქმის შედეგით დაინტერესებულ პირს. ადვოკატი კლიენტთან შეთანხმების გარეშე შეხვდა მისი ოჯახის წევრებს და სასესხო ვალდებულებაც, რომელიც მას კლიენტის მიმართ ქონდა მისი ოჯახის წევრებთან შეასრულა, ასევე მათი მოთხოვნით შეწყვიტა ხელშეკრულება. იგი ვალდებული იყო ყველა ეს ინფორმაცია მიეწოდებინა კლიენტისთვის და მასთან შეთანხმებით ემოქმედა. ადვოკატის მიერ დაირღვა ინფორმირების ვალდებულება.

დაირღვა თუ არა კლიენტის ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპი ადვოკატის მიერ? „ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის“ მე-5 მუხლი, რომლის მიხედვით ადვოკატმა ყოველთვის უნდა იმოქმედოს კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე და დააყენოს ისინი პირადი და სხვა პირების ინტერესებზე მაღლა. ადვოკატის მიერ დარღვეულია კლიენტის ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპი.

დაირღვა თუ არა ნდობის პრინციპი? ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-3 მუხლი. ადვოკატ ნ.კ.-ს მიერ დაირღვა ნდობის პრინციპი

ადვოკატ ნ.კ.ს დისციპლინური სახდელის ზომად განესაზღვრა გაფრთხილება

### ეთიკის კომისიის წევრების - ეკატერინე გასიტაშვილისა და ზვიად კორძაძის განსხვავებული მოსაზრება

ადვოკატ-კლიენტს შორის არსებული სასესხო ურთიერთობიდან გამომდინარე დაირღვა ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-2 და მე-5 მუხლები. ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობაში ადვოკატის მინდობილ პირად არჩევას განაპირობებს ადვოკატის პროფესია, შესაბამისად, ადვოკატს არა მხოლოდ კლიენტის, არამედ საზოგადოების წინაშე ნაკისრი ზნეობრივი და მორალური პასუხისმგებლობისგან გამომდინარე ეკისრება ეთიკური ვალდებულებების იმგვარად შესრულება, რათა საზოგადოების ნდობას იმსახურებდეს პროფესია, რაც ეთიკის კოდექსის მიზნის მიღწევას ემსახურება. ადვოკატი დამოუკიდებელი უნდა იყოს პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას, რაც გულისხმობს ადვოკატის ვალდებულებას დაიცვას კლიენტის ინტერესები ნებისმიერი სახის, მათ შორის მისი პირადი ინტერესების გავლენისგან და არ დაუშვას ისეთ ქმედება, რომელიც ადვოკატის პროფესიულ დამოუკიდებლობას შეუქმნის საფრთხეს. ადვოკატმა ნ.კ.მ კლიენტისგან ისესხა თანხა, რითაც გახდა ამ უკანასკნელზე ფინანსურად დამოკიდებული, ამ დროს ადვოკატზე გაცემული რწმუნებულება არა მხოლოდ ფორმალურ-იურიდიული თვალსაზრისით იყო ძალაში, არამედ ადვოკატი წარმოადგენდა კლიენტის ინტერესებს და მომსახურებას უწევდა მას.

ადვოკატის, როგორც თავისუფალი პროფესიის პირის საქმიანობის თვითრეგულირებისათვის, ეთიკის კომისიის მიერ უნდა შეფასდეს ადვოკატის მიერ რამდენადაა დაცული ეთიკური ვალდებულება. განსხვავებული მოსაზრების ავტორები გადაწყვეტილებას დაეთანხმნენ იმ ნაწილში, რომ სესხის ხელშეკრულების პირობების შესრულება-არშესრულების დადგენა სცდება ეთიკის



**USAID**  
FROM THE AMERICAN PEOPLE

**NEW VISION**  
UNIVERSITY

EAST • WEST  
MANAGEMENT  
INSTITUTE  
კანონის უზენაესობის მხარდაჭერა  
საქართველოში (PROLoG)

კომისიის კომპეტენციას, თუმცა ადვოკატის პროფესიული საქმიანობის შესრულებისას, დაირღვა თუ არა ადვოკატის პროფესიული დამოუკიდებლობის პრინციპი საკუთარ კლიენტთან სესხის ხელშეკრულების გაფორმებით, უნდა შეფასდეს ეთიკური ვალდებულების თვალსაზრისით, რაც სრულიადაც არ ნიშნავს ეთიკის კომისიის მიერ კონკრეტული ხელშეკრულებას პირობების შესრულება-არშესრულების დადგენის საჭიროებას. ადვოკატმა ნ.კ.მ დაარღვია პროფესიულ საქმიანობაში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრინციპი - დამოუკიდებლობის პრინციპი, კერძოდ საკუთარ კლიენტთან სესხის ხელშეკრულების დადების ფაქტით, ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობასთან ერთად ჩამოყალიბდა მოვალე-კრედიტორის ურთიერთობაც, რამაც შექმნა ადვოკატისა და კლიენტის ინტერესების დაპირისპირების საფრთხე, რაც ადვოკატის პირადი ინტერესებიდან გამომდინარე, მისსავე პროფესიულ დამოუკიდებლობაზე ზეგავლენის ფაქტორია, ხელს უშლის ადვოკატის დამოუკიდებელ პროფესიულ განსჯას და ეწინააღმდეგება კლიენტის საუკეთესო ინტერესებს. მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ თავად ადვოკატმა აღნიშნა განხილვის კოლეგიის სხდომაზე, რომ ფინანსური დამოკიდებულება ყველა ადამიანისათვის ზღუდავს დამოუკიდებლობის ხარისხს. დამოუკიდებლობის პრინციპირს დარღვევა და კლიენტთან სასესხო ურთიერთობა გახდა ადვოკატის მხრიდან კლიენტის მომსახურების დაუსაბუთებლად შეწყვეტის საფუძველი. ადვოკატმა დაარღვია დამოუკიდებლობის პრინციპი.

ადვოკატის პროფესიულ საქმიანობაში დაშვებული ეთიკური ვალდებულებების დარღვევების სიმძიმის გათვალისწინებით, განსხვავებული აზრის ავტორებს მიაჩნიათ, რომ ადვოკატის მიმართ ადეკვატური და პროპორციული სახდელის სახე არის 6 (ექვსი) თვით საქმიანობის უფლებამოსილების შეჩერება.